საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 129-03
08/02/2023

2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის - "ციფრული ჰუმანიტარია" მიმართულებაზე: "ციფრული პროსოპოგრაფია" შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მეორე მუხლის მე-4 პუნქტის, მეოთხე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის N7 სხდომაზე დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის მეხუთე მუხლის საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 7 თებერვლის N1877-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს შიდა მობილობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე - "ციფრული ჰუმანიტარია" მიმართულება: "ციფრული პროსოპოგრაფია" მხოლოდ ამავე ფაკულტეტის სტუდენტთათვის;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის - "ციფრული ჰუმანიტარია" მიმართულებაზე: "ციფრული პროსოპოგრაფია" შიდა მობილობის მსურველ პირთა მიერ განცხადებების დაწერის ბოლო ვადა განისაზღვროს 2023 წლის 12 თებერვლის 18:00 საათის ჩათვლით;
3. მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა გაკეთდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით და თან უნდა ერთვოდეს სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
4. სადოქტორო საფეხურზე შიდა მობილობისას დაცული უნდა იქნას ის წინაპირობები, რაც დადგენილია სადოქტორო საფეხურზე მიღებისათვის და შესაბამისი დებულება;
5. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს მე-4 პუნქტში მითითებული წინაპირობების დაცვა და შესაბამისი დოკუმენტაციის (მათ შორის დარგობრივი კომისიის ოქმის) წარდგენა უნივერსიტეტის რექტორისთვის შიდა მობილობის შესახებ ბრძანების გამოცემის მიზნით;
6. შიდა მობილობის შესახებ განცხადებების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების სტუდენტთათვის გაცნობის და მათი მხრიდან დასკვნებზე ხელმოწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2023 წლის 23 თებერვალი;
7. შიდა მობილობის შესახებ შესაბამისი წარდგინების იურიდიული სამსახურისათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2023 წლის 27 თებერვალი;
8. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ შიდა მობილობის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადების ბოლო ვადად განისაზღვროს 2023 წლის 2 მარტი;

9. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, არგუსსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზაში შიდა მობილობის შედეგების ასახვა შიდა მობილობის შედეგების შესახებ ბრძანების გამოცემიდან 1 დღის ვადაში;
10. შიდა მობილობის პროცესზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
11. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს, უზრუნველყოს შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტთა თავსებადობის დასკვნების მიწოდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისთვის, შიდა მობილობის შედეგების ბრძანების გამოცემიდან სამი სამუშაო დღის ვადაში;
12. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;
13. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;
14. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა შესაძლო საშუალებით;
15. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საგარეო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი